№ 247

შაბათი, 11 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 247

შაბათი, 11 ნოემბერი, 1900 .

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კვირას, ნოემბრის 12 სა, დიდუბის ეკკლესიაში, გარდახდილი იქმ ნება წირვა და პანაშვიდი

დიმიტრი ბაქრაძის და ალექსანდრე რტინაშვილის

სულის მოსახსენებლად, ხოლო პანაშვიდის შემდეგ იქმნება მათი საფლავის ძეგლის კურთხევა.

## ქართული თეატრი

კვირას, 12 ნოემბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

## დ ა - ძ მ ა

ისტორ. დრ. 5 მოქ. ვ. გუნიასი

II

## უკულმართი ალაგი

ვოდ. 1 მოქ. გად. ეფ. მესხის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, მდივანი, გარელი, სარიძე და სხ.; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, მათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

**მზადდება ვ. აბაშიძის საბენეფისოდ ახალი პიესა „ორი ჯაბგირი“ ეფ. მესხისა და ტასო აბაშიძის მონაწილეობით.**

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## წინარეხის

სკოლის მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 350 მანეთი. (2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბებთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინას ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 10 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში წირვა გარდაიხადა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა კირიონმა სამღვდელოების თანამწირველობით. წირვაზედ იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ეკკლესიაში ტევა არ იყო და, ეზოც თითქმის ნახევრად სავსე იყო. წინა დღით თუმცა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ ჩვეულებისამებრ სოფლიდგანაც კი ჩამოვიდა ხალხი ღამის სათევად.

*** ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის კრებაზედ ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ საფინანსო კომისიამ მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს უყურადღებოდ დასტოვა საკითხი ქალაქის გამგეობის მდივნის თანამდებობის დაარსების შესახებ; და ამ თანამდებობის დაარსება მით უფრო საჭიროა ეხლა, რომ ქალაქის საბჭოს მდივანს იმდენი საქმე აქვს საკეთებელი, რომ თითქმის უძნელდება გამგეობის საქმეების მოსწრებაც და ამიტომ საქმის გარემოების უკეთესად წაყვანაც მოითხოვს ეხლავე დაარსდეს ეს თანამდებობაო. გამგეობამ დაადგინა: თანახმად მოურავის განცხადებისა დაარსდეს ეს თანამდებობა და მომავალ 1901 წლიდგან შეტანილ იქმნეს ხარჯთ-აღრიცხვაში მდივნის ჯამაგირად 1,500 მან. წელიწადში.

*** პარასკევს, 10 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ს. წერეთლისა და ქ-ნ სოფიო არაფელოვისა, რომელსაც წერეთელი ბრალსა სდებს, პალტოს მოპარვა დამწამაო. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის გარდაწყვეტილება;

## ფელეტონი

### ბელგიაში მოგზაურობა

წერილი II *)

გლეხთა წვრილი მიწად-მფლობელობა.—დიალექტიკურ კანონის კონცენტრაციის სიცრუე.—რას გვეუბნება ინგლისისა, საფრანგეთისა, ბელგიისა და გერმანიის სტატისტიკა.—შეუძლიანთ თუ არა გლეხობასა და სოფლის მუშებს თანხმობითა და ერთად შრომა?—საქონლის მოვლა-მოშენება შვეიცარიაში, სინდიკატები საფრანგეთში, სასოფლო სამეურნეო მოძრაობა ბელგიაში.

იმ გარემოებამ, რომ პაწაწკინა ბელგიიდგან, ევროპის ამ ყველაზედ მჭიდროდ დასახლებულ კუთხიდგან, ხალხი არ გარბის და სხვა ქვეყნებში არ ესახლება, განსაკუთრებით გამაოცა და გამაკვირვა. რასაკვირველია, ბელგიელთ ათი-ათასობით შეჰხვდებით საფრანგეთსა, ინგლისსა და გერმანიაში, მაგრამ ესენი დროებით არიან სამუშაოდ წასული ისევე, როგორც მრავალი უცხო-ქვეყნელი დროებით თვით ბელგიაში მოსული სამუშაოდ. ამასთან, ამ შემთხვევაშია-კი მეორეთა რიცხვი ბევრით აღემატება პირველთა რიცხვს. რითი აიხსნება ეს გარემოება? რითი აიხსნება, რომ მჭიდროდ დასახლებულ ბელგიიდგან ადგილის სივიწროვეს ნაკლებად გაურბის (უკედ სულ არ გაურბის) ხალხი, ვიდრე მიწა-ადგილის სიმრავლით მდიდარ სხვა კუთხეს? ნუ თუ ეს მოვლენა ინდუსტრიისა და ვაჭრობის განვითარებით აიხსნება?

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ პირველიცა და მეორეც მარტო მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით კი არა, აბსოლიუტურადაც-კი, როგორც ქვემოდაც დავინახავთ, უმაღლესს განვითარებამდეა მისული ბელგიაში. მაგრამ ინდუსტრია და ვაჭრობა გერმანიაში და განსაკუთრებით ინგლისში ხომ უფრო მეტადაა განვითარებული, ემიგრაცია-კი ამისდა მიუხედავად როგორც გერმანიაში, აგრეთვე ინგლისში წლითი-წლობით იზრდება და ჰმატულობს. მაშ რითი აიხსნება ეს გასაოცარი მოვლენა ბელგიაში?—გლეხთა წვრილის მიწად-მფლობელობითაო, ჩაგვჩურჩულებს სტატისტიკა. მაგრამ სტატისტიკა მარტო ამითი არა კმაყოფილდება, იგი გადაჭრით გვეუბნება: „წვრილ მეურნე გლეხთა რიცხვის განუწყვეტლივი გამრავლებაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ხალხი ბელგიიდგან არ იხიზნება, არ მიდის სხვაგან საცხოვრებლადაო“.

მართლაცა-და, საოცრად მრავლდება წვრილ მეურნეთა რიცხვი ბელგიაში. სულ ამ სახელმწიფოში 1,904,500 დესეტინა ითვლება გამოსადეგი და მეურნეობისათვის გამოსაყენებელი მიწა. ამ რიცხვიდგან 1.190,370 დესეტინა წვრილ მემამულეებს ეკუთვნით, იმათ, ვისაც 5 გექტარზედ *) მეტი არა აქვთ. სულ-კი მიწა-ადგილი ასე იყო განაწილებული **) ბელგიაში უკანასკნელ აღწერის დროს (1880 წ.):

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 გექტარზედ ნაკლების პატრონი იყო | . . . . . . | | მემამულე 594,376 |
| 1-დგან 5-მდე გექტ. პატრ. | . | | 226,088 |
| 5—10 | „ | „ . . | 48,390 |
| 10—20 | „ | „ . . | 25,893 |
| 20—50 | „ | „ . . | 12,186 |
| 50-ზედ მეტისა | „ | „ . . | 3,403 |

ერთის სიტყვით, ბელგია წვრილ მემამულეთა ქვეყანაა, რადგანაც იმ მამულების რიცხვი, რომელთა ზომაც 10 გექტარზედ ნაკლებია, 868.854-ია; საშუალო მამულების რიცხვი—38,079-ია, და მხოლოდ 3,403 მამულის პატრონი შეგვიძლიან ჩავთვალოთ მსხვილ მემამულეთ. მაგრამ რა მსხვილი მემამულე უნდა იყოს 50 დესეტინის პატრონი!..

დიალექტიკით აღჭურვილ, ე. ი. არა-მეცნიერ, სოფისტ *) „მსწავლულთა“ (სიტყვების უაზრო ბრახი-ბრუხი გამოდის, მაგრამ მე არ გახლავართ დამნაშავე) მოძღვრების წინააღმდეგ აშკარადა ვხედავთ, რომ ბელგიაში მიწა-ადგილი თანდა-თან ქუცმაცდება, წვრილმანდება და საკუთრებათა ფანტასტიურ კონცენტრაცი ს მაგიერ მრავლდება წვრილ-მემამულეთა რიცხვი. სულ რაღაც 36 წლის განმავლობაში წვრილ მემამულეთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა. 1846 წელს ეს რიცხვი მხოლოდ 572,550-ს შეადგენდა, 1880 წელს-კი იგი 910,396 მდე ავიდა. წელიწადში ორთა-შუა რიცხვით 9,384 წვრილი მემამულე მოჰმატებია.

მე და შენ, მკითხველო, და სხვა ჩვენსავით მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე, გლეხობისათვის კეთილდღეობისა და ბედნიერების მოსურნე, სიხარულით მივეგებებით ამ მოვლენას და ვიტყვით: სასიამოვნოა, რომ ბელგიაში გლეხთა მიწად-მფლობელობა იზრდება და ჰმატულობსო. გონიერ მოსაზრების შემდეგ, ყველა სხვა პატიოსანმა კაცმაც ესევე უნდა სთქვას. მაგრამ, სამწუხაროდ, სოფისტთა ახლად მოვლენილ დიალექტიკურ მეტოდს ისეთი საოცნებო გავლენა და მოქმედება აქვს, რომ მაღალ იდეალების მოტრფიალენი, ხალხისათვის კეთილ-დღეობის გულითა და სულით მოსურნენი და კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლნი გლეხ მემამულეთა რიცხვის გამრავლებას მეტად სამწუხარო მოვლენად სთვლიან. დაუჯერებელი ამბავია განა? მაგრამ ნამდვილი კია. აი ემილ ვანდერველდე, ყოველს ეჭვს გარეშე ნიჭიერი, განათლებული კაცი და პარლამენტში ბელგიელ სო-

*) იხ. „ივერია“ № 220.

*) გექტარი დესეტინაზედ ნაკლებია.

**) Statistique de la Belgique. Agriculture. 1885.

Statesman's Year Book. 1899.

*) არისტოტელის სიტყვით, დიალექტიკის მამა და სოფისტთა სკოლის მეთაური ზენონ ელეიელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც სოფიო არაფელოვისა დამნაშავედ არის ცნობილი და გარდაწყვეტილი აქვს 7 დღის ვადით ციხეში დაპატიმრება.

*** გუშინ, 10 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ საბოლოოდ გამოაცხადა თვისი განაჩენი ნიკოლოოზ, სოლომონ და გედევან ორჯონიკიძეებისა, შოშიტაიშვილისა და კონდრატიევის საქმის შესახებ ყველა ბრალდებულმა სურვილი გამოაცხადა სამოსამართლო პალატაში საქმის განსაჩივრებისა და განაჩენის პირი მოითხოვეს.

*** ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, სხდომაზედ ქალაქის სასწავლებლების კომისიამ მოისმინა დიდუბის სკოლის გამგის ბ-ნ შანშიევის განცხადება, რომლითაც იგი სთხოვს კომისიას, რომ რადგანაც ამ ჟამად დიდუბის სკოლის მასწავლებელი ქალი ნასიძისა ავად არის, დროებით მის ადგილზედ დაინიშნოს ქალაქის მასწავლებელთა ერთ ერთი კანდიდატი. როგორც აღმოჩნდა, კომისიას ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევი ჰქონია ამნაირ შემთხვევისათვის ერთის სათადარიგო მასწავლებლის თანამდებობის დაარსება, ხოლო ეს დადგენილება განუხორციელებელი ყოფილა. ამიტომ კომისიამ დაადგინა სთხოვონ სახალხო სკოლების ინსპექტორს დაინიშნოს აძ თანამდებობაზედ ქალაქის მასწავლებელთა ერთ-ერთი კანდიდატი.

*** ქალაქის ქვაფენილებისა და ქუჩების შესანახად გადადებული კრედიტი 25,000 მან. და ქალაქის გზა-ტკეცილებისათვის გადადებული 18,000 მან. უკვე გაქოილია და ქალაქის მუშებს აგერ მეორე თვეა სამუშაო ქირა არ მიუღიათ. ამის გამო ქალაქის ინჟენერმა მელიქ ბეგლიაროვმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ გადასდონ კიდევ 15 ათასი მან. მუშების გასასტუმრებლად და ქუჩების შესაკეთებლად.

*** სამხედრო ბეგარის გადასახდელად კავკასიიდგან გაწვეულ 714 ყმაწვილ-კაციდგან 114 კაცი კავკასიაში დარჩება, ხოლო 600 კაცს რუსეთში გაჰგზავნიან.

*** გზათა სამინისტრომ განმარტა, რომ რკინის გზაზედ მოსამსახურეს, კაცი იქნება იგი თუ ქალი, უფლება აქვს შემწეობის მიღებისა, და ამისთვის შვილებსაც უნდა მიეცეთ შემწეობა დედის სამსახურისათვისაც, თუნდაც დედასთან ერთად მამაც რკინის გზაზედ ჰმსახურებდეს. ამასთანავე განმარტებულია, რომ ქმარს უფლება არა აქვს შემწეობა ითხოვოს ცოლის სამსახურისათვის, რადგანაც, კანონით, ცოლი ვალდებული არ არის ქმარი არჩინოს.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ პარიჟში განსაკუთრებული კომიტეტი შესდგა საერთო თანაგრძნობის გამოსაცხადებლად ტრანსვაალის პრეზიდენტის კრიუგერისათვის, რომელიც ამ დღეებში ჩავა იქ. კომიტეტს ყველაფერი დაუმზადებია, რაც-კი ამისათვის საჭიროა და მალე დაწვრილებით ცნობებსაც გამოაქვეყნებს იმისას, თუ როგორ დახვდებიან და მიეგებებიან პრეზიდენტს. ეხლა-კი კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დახვედრას ერთად-ერთი აზრი ექმნება—საერთაშორისო თანაგრძნობის გამოცხადება ბურების მიმართ, და მოკლებული იქმნება ყოველსავე პოლიტიკურ მნიშვნელობასა.

*** კახეთის მევენახეთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დაინიშნა 20 ნოემბრისთვის ქალაქ ტფილისში, საზოგადოების კანტორაში, ერევნის მოედანზე, თამამშევის სახლში. კრებას წარედგინება განსახილველად საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1899—1900 წ.; ღვინის დაფასების ინსტრუქციის პროექტი; ვენახების საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების დაარსების პროექტი; შეცვლა და დამატება წესდების ზოგიერთ მუხლებისა; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის დაწესება; საზოგადოების ახალ წევრთა არჩევა; გამგეობისა და მათ კანდიდატების არჩევა.

როგორც შედგენილ ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას 86 წევრი ჰყოლია. ამ წევრებს საერთოდ $567^{1}/_{2}$ დესეტინა ვენახი აქვთ და საწევრო ფულადაც შეტანილი აქვთ 9655 მან.; საზოგადოების კასსას საანგარიშო წელს დაუბრუნებია სულ 622,215 მანეთი; ღვინო ჰქონია: 1899 წ. 1 აგვისტოს: ტფილისში—80,054 მანეთისა და ბაქოში—3034 მანეთისა; საანგარიშო წელს შემოსულა: ტფილისში—82,178 მან., ბაქოში—19 722 მან. და მოსკოვში—12,486 მან.; გაუყიდნიათ ღვინო ნაღდად და ნისიად: ტფილისში—120,467 მანეთისა, ბაქოში—28,930 მანეთისა და მოსკოვში—13,131 მანეთისა; მსახურთა ჯამაგირში, სახლისა და სარდაფების ქირაში, ღვინის გაგზავნა-დაზღვევაში და სხვა სხვაჰრო მიმდინარე ხარჯებში წასულა: ტფილისში—22.016 მანეთი, ბაქოში—10 152 მან. და მოსკოვში—8395 მან.; სარდაფების ასაშენებელ ფონდში არის ამ ჟამად—13,517 მან., წმინდა მოგება დარჩენილა—4312 მან. („ცნ. ფ.“)

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესია ქ. გორში 17 ნოემბერს წავა საქმეების განსახილველად და 2 დეკემბრამდე დარჩება იქ. ამ დროს განმავლობაში დანიშნულია განსახილველად 105 საქმე.

*** ამ დღეებში ბაქოში გარდაცვლილა შემახის მცხოვრები პ. გ. მარკაროვი. განსვენებულს ანდერძი დაუტოვებია: ბაქოს კაცთ-მოყვარე საზოგადოებისათვის 5000 მან., ბაქოს სომეხთა ეკკლესიისთვის—5000 მ., ეჩმიაძინის ეკკლესიისთვის—3000 მ., იერუსალიმის—30 0 მ., შემახისა—3000 მან., შემახაში სულით ავადმყოფთათვის სახლის ასაშენებლად—7000 მ., ბაქოს ქალაქის გამგეობასთვის—4000 მ., ღარიბ მოსწავლეთა აღსაზრდელად გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში 3,000 მან. და 3000 მანეთიც თავის ღარიბ ნათესავებისთვის სულ 33,000 მან.

*** 13 ნოემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი, ინჟენერი ვედენეევი, პეტერბურგიდგან ბათუმს ჩამოვა.

*** ტფილისში ხმა დადის, რომ ტყვიბულის ქვა-ნახშირის მადაროებში მიწა ჩამოწვა და ორი მუშა ქვეშ მოიტანა.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ტფილისის სამხედრო საკრებულომ წარუდგინა პოლიცმეისტერისთან. აღმასრულებელს სია იმ 95 ყმაწვილ-კაცისა. რომელნიც სამხედრო ბეგარის გადასახდელად არ გამოცხადნენ და სთხოვა, მოეძებნათ ეს ყმაწვილი კაცები 9 ნოემბრამდის. 9 ნოემბერს საკრებულოში მხოლოდ 6 კაცი მოიყვანეს, დანარჩენნი ვერ იპოვნეს თურმე.

*** აგრონომი ტიგრან გოზალოვი ყარაიას ბამბის საცდელ მინდვრის უფროსს ინსტრუქტორად დაუნიშნავთ.

*** ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე რაჭის მაზრის სოფელ ახალსოფლის მცხოვრების არტემ გიორგის ძის თებზაძისა, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ მან 1899 წლის 1 იანვარს გაჯავრების დროს ხანჯლითა და ხმლით სამგან დასჭრა ქუთაისში გლახუა კირვალიძე, რომელიც სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილა. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია თებზაძე და გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და ორის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დამნაშავე თებზაძეს ოლქის სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი სასჯელი ერთის წლით შეუმცირა.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსის ინსპექტორი ბ-ნი ციგალსკი კიევში გადაუყვანიათ. იმის ადგილას, როგორც „ტფ. ფურც.“ იუწყება პსკოვის კადეტთა კორპუსის ინსპექტორი სტრუსევიჩი გადმოჰყავთ.

*** სოხუმი. კვირას, 5 ნოემბერს, სოხუმის სცენის მოყვარულთაგან კნეინა ტერეზია შერვაშიძის მეთაურობით, წარმოდგენა იქმნა გამართული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოადგინეს კომედიები: „ძუნწი“ გ. ერისთავისა და „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ ვალ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნი მაკრ. თურქია, მაშო ქავთარაძე და მაშო თურქია; ბ-ნი ა. გაბუნია, ვ. ნასიძე, ი. ხახუტაშვილი და მ. ხოხიაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ სცენის გვიან მოწყობის გამო არც ერთი ხეირიანი რეპეტიცია არა ჰქონიათ მოყვარულთ და იმისა, რომ არა ჰყოლიათ არც რეჟისორი და არც სცენარიუსი, წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით მხიარულად ჩაატარეს კომედია „ძუნწი“, რომლის წარმოდგენის დროსაც მაყურებელთ შორის სიცილი არ შეწყვეტილა. დარბაზი სავსე იყო ხალხით, ბევრიც ადგილის უქონლობის გამო უკან გაბრუნდა გულ-დაწყვეტილი. შემოსავალი 200 მანეთამდეა. ამ ახლო მომავალში სცენის მოყვარულნი კიდევ აპირებენ წარმოდგენის გამართვას სამოქალაქო კლუბის ახლად აშენებულს თეატრში.

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ერედვი**, 2 ნოემბერი. ბევრი ვიჩივლეთ, ბევრი ვიყვირეთ, გავიდა აგერ სამი წელიწადი, მაგრამ ყურადღება არავინ გვათხოვა, ლოდინმა ჩვენი დაგვმართა და სკოლას-კი ვერ ვეღირსენით, თითქოს მასალაც მომზადდა თითქმის, ადგილობრივმა მაღალმა წოდებამაც ადგილი დაუთმო სკოლისათვის, მოიჯარადრე გამოჩნდა, რომ სკოლის შენობა აეშენებინა, ფულიც იკრიბებოდა! გვიკვირს, საქმე რადამ შეაყენა? ეს კია სათქმელი, ღვთის წინაშე, რომ ვინ იცხელებს თავს? ადგილობრივ მცხოვრებთ რომ ფხა გამოეჩინათ, ხომ სკოლა აქამდისაც ექნებოდათ. უცხოს ჩვენთვის არა სცალიან და ან რა ძრიელ თავს გაიცხელებს ვინმე, და ვართ ასე გაურკვეველს მდგომარეობაში, გვეღირსება ოდესმე სკოლა თუ არა, არ ვიცით. მოიჯარადრემ ოცი თუ ოც-და-ათი თუმანი ტყუილ-უბრალოდ ჩაჯიბა და გაშპა, გაჰქრა, ვითარცა თოვლი; სკოლის საქმე-კი თავში საცემად ისევ ჩვენ დაგვიტოვა, ეგ თქვენ და ეგ თქვენი სკოლა. ასე და ამ გვარად ერედველების სკოლა, როგორცა ჰხედავთ, გაიფინა-გაირიყა, მაგრამ დრობით თუ სამუდამოდ, ეს არავინ არ იცის.

---

ციალისტთა მეთაურად ცნობილი. როგორც ასეთ კაცს, ვანდერველდს გულითა და სულით უნდა უხაროდეს, რომ ბელგიელი „чумазый“ არა ჰყლაპავს და არ ანადგურებს გლეხობას, მაგრამ... სწორედ ამ ვანდერველდმა თავისს ლექციაში მუშათა მიმართ*), აღნიშნა რა ზემოხსენებული მოვლენა, რომელიც სავსებით არღვევს მარქსის ცრუ კანონს, ენგელსისა და იმის მოწაფეთა მიერ გაზვიადებულს, სინანულით დაუმატა „სამწუხაროდაო“ malheureusement.

რა მიზეზია, რომ ეს სასიხარულო მოვლენა სინანულის გრძნობას იწვევს ხალხის ბედნიერების მოსურნეს გულში? რა ათქმევინებს „სამწუხაროდაო“ იმ კაცს, რომელიც მართლაც გულით არის მოწადინებული ხალხის კეთილ-ცდლეობას? ისა, მკითხველო, რომ ირღვევა უსაძირკვლოდ აგებული სახლი დიალექტიკურ მოძღვრებისა, სწორედ იმ მოძღვრებისა რომლის ძალითაც ბ-ნნი სტრუვე, ბელტოვი და ენგელსის სხვა მოწაფენი ასე თამამად არწმუნებენ საზოგადოებას, რომ „...გაბოგანოვება (უმიწა-ადგილოდ დარჩენა) გლეხობის ერთის ნაწილისა... ყოვლად აუცილებელია... სახელმწიფოს ამ პროცესში შეუძლიან შეასრულოს... მხოლოდ ერთი როლი... ხელი შეუწყოს ასეთ გამოგონებას (პ. სტრუვე „Критическія Замѣтки“, გვერდი 272—76).

ასე და ამ რიგად ეს მოძღვრება ის ძალაა რომელმაც გზა-კვალი აუბნია პატიოსან კაცებს იმდენად, რომ მზად არიან მთავრობას მოუწოდონ გლეხობის გასაცამტვერებლად, მიწა-ადგილის ხელიდგან გამოსაცლელად. გლეხთა განთავისუფლების დროს ყველა პატიოსანი და უანგარო კაცი მთელს რუსეთში მთავრობას შესთხოვდა, რაც შეიძლება მეტი მიწა მიეზომა გლეხობისათვის, ხოლო თვით განთავისუფლების ამბავს სიხარულითა და აღტაცებით ეგებებოდა. მაშ როგორ მოხდა, რომ ეხლა „პროგრესის კაცნი“ მოსაშველებლად „Чумазый“-ს იწვევენ? ხელ ახლად იმავ პასუხს მოგცემთ—ამას მოძღვრება თხოულობს. ხოლო რადგანაც ეს მოძღვრება ჩვენშიაც ბევრ გულ-კეთილ და გულ-უბრყვილო კაცს უბნევს კვალს, ნებას მივცემ ჩემ თავს ცოტა გადაუხვიო და მოსაწყენ... დიაღ, მოსაწყენ საგანზედ გაუბა ლაპარაკი მკითხველს. ვეცდები გამოვარკვიო მოწაფეთა მიერ სხვა-დასხვა ენაზედ განმეორებული-კი არა, არამედ თვით მოძღვრება ისე, როგორც იგი კ. მარქსმა აღნიშნა და გამოსთქვა *).

არსებობს თუ არა, კაპიტალთა კონცენტრაცია?

აუცილებელია თუ არა ხალხთა გაბოგანოვება?

მიმდინარე საუკუნის პირველ ნახევარში ორთქლმა და მანქანამ სრულიად გადაჰქმნა წარმოება და საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე. იმ ადგილებმა, სადაც ძველად მრეწველობა სდუღდა და გადმოდიოდა, საბრძანებელი დაუთმო ახალს ადგილებს. გაკოტრდა აუარებელი წვრილი მწარმოებელი და მესაკუთრე; დიდმა ქარხნებმა და მდიდარმა კაპიტალისტებმა სრულიად დასცეს და მიწასთან გაასწორეს წვრილის წარმოების ძველი საშუალებანი და მცირე თანხის პატრონნი. რა წამსაც ეს ცვლილება თვალ-საჩინო შეიქმნა, იმ წამსვე ხმა აღიმაღლეს და ახალ მოვლენია მსხვერპლთა დასაცველად სამოქმედო ასპარეზზედ გამოვიდნენ პატიოსანნი კაცნი და კაცობრიობის გულ-წრფელნი მეგობარნი. ერთნი, როგორც სისმონდი (1819), ა. ბლანკი (1825), ჰკიცხავდნენ თვით მოვლენას; მეორენი, როგორც ტომსონი, ოვენი, ფურიე და მისი სკოლა, საზოგადოებრივ წეს-წყობილების რეფორმათა ქადაგებას შეუდგნენ; ხოლო თვით მსხვერპლნი ცვლილებისა—წვრილი ხელოსნები და მუშები—პირდაპირ წინა აღუდგნენ მანქანებს და იმათ განადგურებას სცდილობდნენ (ფეიქართა აჯანყება ლიონში და მკალავთა აჯანყება ინგლისში).

ყველას ეგონა მაშინ, რომ მეცნიერება და ტეხნიკა მოუხეშავ, ძვირად ღირებულ, მხოლოდ ცოტასათვის ხელ-მისაწვდენ მანქანებზედ შედგება. არ უწყოდნენ მაშინ არც ელექტრონი, არც გაზი, არც საკერავი მანქანა, არც სატეხ-არც სამეურნეო ქიმია, არც რკინის გზები, არც ათი ათასი გემი და ორთქლით მომუშავე გემი მოიპოვებოდა, არც ანილინის საღებავების წარმოება იცოდნენ, არც... ერთის სიტყვით, მრეწველობისა და ტეხნიკის ის დარგნი, რომელთაც ასე ძლიერად წასწიეს წინ კაცობრიობა, მაშინ ხსენებაშიაც არ იყვნენ. ეგონა ყველას, რამდენიმე ათასი მექარხნე, ბანკის პატრონი და მევახშე გაჰქელავენ, გააკოტრებენ და გადაჰყლაპავენ საშუალო და წვრილ კაპიტალებსაო. კაცით-ქალამდე ასე ჰფიქრობდა მაშინ, მაგრამ ყველაზედ კარგად, ყველაზედ ნათლად ეს საზოგადო აზრი და ფიქრი გამოსთქვა 1843 წელს ვიქტორ კონსიდერანმა თავისს შესანიშნავ „მე-XIX საუკუნის დემოკრატიის მანიფესტ“-ში.

„ჩვენ თვალ-წინ იზრდება და ვითარდება ახალი ფეოდალიზმი, სწერდა კონსიდერანი რომელიც მეტად ცუდს საქმეს უქა-

*) „Le Peuple“ 28 მარტი, 1898 წ.

*) მკითხველი ბევრად არ იზარალებს, თუ მოისურვებს და გაუშვებს ამ ფელეტონში ამოწერილ ადგილსა და ციფრებს. მე ვედავ ამ მშრალ საგნის გამო წერას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ბოლოს დროს დაუსრულებელი ლაპარაკი გაავბეს მარქსისა და იმის კანონების შესახებ. არავითარი კანონი მარქსს არ აღმოუჩენია და მთელი ეს დავა-კამათი გაუგებრობის ნაყოფია მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი ჭირნახულისა თუ ღვინისა აქ ძლიერ ნაკლები იყო, ასე რომ საეჭვოა, გამოიკვებავს თავს ამ ზამთარს ხალხი და პირუტყვი საქონელი, თუ არა. ღვინო ჯერ სულ არ იყო და, რაც იყო, სრულიად არ დამწიფდა ყურძენი და ისეთი გახლავთ, რომ კაწკაწს დააჩხავლებს. ეს არ გვაკმარა წრეგანდელმა წელიწადმა: მოვიდა თოვლი და თუ არ გამოიდარა, თქვენი მტერი, ჯერ მარცვალი არავის გადუბნევია,— ხალხი უხვნელ-უთესი დარჩება!

რ. ერედველი

## თეატრის მატიანე

„ორი გმირი“, ისტ. დრამა 3 მოქმედ.
„აირია მონასტერი“, კომედ. 3 მოქმედ.

ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, არტისტის ს. პ. სვიმონიძის საბენეფისოდ ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ახალი პიესა „ორი გმირი“, ისტორიული დრამა გურულების ცხოვრებიდგან ვ. გუნიასი (ფ. კოპპედგან) და „აირია მონასტერი“ კომ.-ხუმრობა 3 მოქმ. გადმოკეთებული თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

ბენეფისი არტისტისა, რომელსაც ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს და ახალი პიესა—ორივ თითქოს თავდები იყო, რომ საზოგადოება ბლომად დაესწრებოდა, მაგრამ არც დასსა და არც მობენეფისეს იმედი არ გაუმართლდა. ხალხი ნაკლებად დაესწრო (ლოჟები თითქმის მთლად ცარიელი იყო და პარტერი თხლად აჭრელებული), პიესამ დამსწრენი ვერ დააკმაყოფილა. პირველი, რასაკვირველია, საზოგადოების გულ-ცივობითა და არ-ნდომით აიხსნება, მეორე-კი?.. და აი, ჩვენც ამის შესახებ ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

პიესის სიუჟეტი, როგორც ავტორი აცხადებს, საფრანგეთის მწერლის ფ. კოპპეს ნაწარმოებიდგან არის აღებული და გადმოტანილია ჩვენს ისტორიულს წარსულზედ, რომლიდგანაც გამოჰყავს ორი თავისი გმირი. მოკლედ შინაარსი პიესისა შემდეგია: გურიის მთავრის მამიას (გ. კანდელაკი თამაშობდა) მთავარ-სარდალს ლევან გურიელს (ვ. გამყრელიძე) მეორე ცოლად დიდების მოყვარე, ლამაზი, ახალგაზრდა აფხაზის ქალი დუდუხან (ა. კარგარეთელი) შეურთავს. ხონთქრის ჯარი გურიას მოსვენებას არ აძლევს, მუდამ ეომება, მაგრამ სავსებით ვერ იმორჩილებს, რადგანაც მთავრის მთავარ-სარდალი, თავისის გმირობით განთქმული ლევან მტერს დარაჯად უდგას და ერთად-ერთს ძნელად გადმოსავალს კვარჩხალ ს მთას ერთგულად იცავს. ხონთქრის ჯაშუში, აფხაზი ბალათარ ალი (კ. შათირიშვილი), როგორც დუდუხანის მონათესავე, მოშაირე-მესტვირის სახელით ლევანის ციხე-დარბაზში ნდობას მოიპოვებს, დუდუხანს დაუახლოვდება და დაიყოლიებს, რომ ამან გაგიჟებით შეყვარებულს ლევანს გურიის ტახტისა და გვირგვინის დაპირებით სიტყვა ჩამოართვას, რომ იგი კვარჩხალის მთაზედ ხონთქრის ჯარს გადმოიყვანს. დუდუხან სთანხმდება და დაიყოლიებს კიდეც ლევანს, მაგრამ ტარიელის (შვილია ლევანისა, ს. სვიმონიძე) დედამძუძეს ქალი დესპინე, რომელიც დასავით შეთვისებულია ტარიელთან, შეიტყობს ყოველსავე ამას, ტარიელს აკნობებს და გააფრთხილებს, რომ, თუ დროზედ არას იღონებს, განზრახვას შეასრულებენ და, ვინ იცის, იქნება თითონ მას, ტარიელსაც, ავნონ რამე. პატიოსანი მამულიშვილი, ახალგაზრდა გმირი-მეომარი ტარიელ ერწმუნება დესპინეს და, როდესაც თვისის ყურით გაიგონებს მამის განზრახვას მტრის შემოყვანის შესახებ, გარდასწყვეტს ან მამას როგორმე გადაათქმევინოს სურვილი, ან-და იმ სიმდაბლემდე არ მიიყვანოს მამა, განთქმული მეომარი და გმირი ხალხისა, რომ დიდების მოყვარეობით სამშობლო გაცემინოს და სახელი სამუდამოდ შეაბლალინოს. დანიშნულს ღამეს კვარჩხალის სადარაჯოში თვით ლევან მივა, რომ მტერს გზა გაუხსნას, მაგრამ ტარიელიც მოულოდნელად იქ გაჩნდება და, ხანგრძლივის მპილებისა და რწმუნების შემდეგ, რომ მამამ ეს სამარცხვინო განზრახვა უარჰყოს და ჩირქი არ მოიცხოს — ტარიელი მამასა ჰკლავს. რადგანაც ვერ დაიყოლიებს. ტარიელი მტერს არ შემოუშვებს და ამ რიგად ერთის მხრივ იხსნის მამის პატიოსანს სახელს შეგინებისა და ქვეყნის წყევლა-კრულვისაგან და მეორე მხრივ სამშობლოს მტრის შემოსევისაგან. მაგრამ მკვლელობა საიდუმლოდ რჩება და არავინ იცის, თუ მამის მკვლელი შვილია. ხალხი მამას სამაგალითო მამულის ერთგულ გმირადა სთვლის და ამ დღით მრავალი ხალხი მიდის მის სამარეზედ ცრემლების დასაფრქვევად და ერთგულ მამულიშვილის პატივსაცემად, მაგრამ სამაგიეროდ თითონ შვილს, ტარიელს, მამის აჩრდილი აღარ ასვენებს, სინიდისი ჰქენჯნის, რომ ასეთი საზიზღარი მკვლელობა ჩაიდინა და აღარ იცის სულის სიმშვიდე, ნუგეში სად და რაში ჰპოვოს. ერთად-ერთი მისი ნატვრა ეხლა ისღაა, რომ როგორმე მალე მოსწყდეს ქვეყანას, მოესპოს არსებობა, მაგრამ თვისის ხელით სიკვდილი ვერ გაუბედნია რადგანაც ორ-ნაირი მკვლელობა: მამისა და თვისის თავისა აშინებს, როგორც მორწმუნე ქრისტიანს. დუდუხანიც არა სცხრება. გვირგვინს კვლავ ეძიებს, მაგრამ ტარიელ მას არ იკარებს; ხალხში სხვა-დასხვა ხმა ვრცელდება დუდუხანისავე წყალობით, ვითომ ტარიელ ხალხს ჰღალატობდეს, ბრძოლას განგებ აგებდეს და გურიის მთავარს მამიას არ ერთგულობდეს და ამით ნიადაგს ამზადებს შურის საძიებლად. შემთხვევაც ეძლევა. მთავარი მამია ტარიელს ეწვევა, რომ მტერთან საბრძოლად მთავარ-სარდლობა მას ჩააბაროს. ამ შემთხვევით სარგებლობს დუდუხანი და ტარიელს უცხადებს, რომ მამა მისს ლევანს გარდაწყვეტილი ჰქონდა ხონთქრის ჯარი შემოეშვა, რის სამაგიეროდაც ხონთქარი გურიის ტახტსა ჰპირდებოდა, მაგრამ მას ეს არ დასცალდაო, და სთხოვს, რომ იგივ განზრახვა მამისა შვილმა შეასრულოს. ამასთანავე აჩვენებს ტარიელს მამის მიერ ბეჭედ-დასმულს საბუთს, რომლითაც იგი ხონთქართან პირობასა ჰკრავს. მაგრამ ტარიელ ზიზღით შეეგებება დუდუხანის რჩევას, გამოუტყდება, რომ მან ყოველივე იცის, თუ როგორ გადაიბირა და მოჰხიბლა დუდუხანმა პატიოსანი ლევანი, გამოუტყდება აგრეთვე, რომ მამის მკვლელი თითონ ტარიელია და სხ. მაშინ დუდუხან საგვარეულო ბეჭედ-დასმულს ლევანის საბუთს სხვანაირად გამოიყენებს და როდესაც მთავარი მამია მობრძანდება და თავისს გარდაწყვეტილებას მთავარ სარდლად დანიშვნის შესახებ ტარიელს განუცხადებს, დუდუხან ამ საბუთს წარუდგენს, რომ ტარიელი მოღალატეა, სამშობლოს გამცემელი. მეფე თავისის დიდებულებით მოღალატეს სიკვდილით დასჯას გარდაუწყვეტს, მაგრამ ტარიელ მამის პატიოსან სახელს იცავს, მისს ორგულობას არ ამჟღავნებს და პასუხს და ალსნას საჭიროდ არა სთვლის, თავს დამნაშავედ აღიარებს. ერთგული დესპინე სცდილობს, რომ სიმართლე როგორმე გამოარკვიოს და უბრალოდ დასჯილი ტარიელ იხსნას, მაგრამ ტარიელ ნებას არ აძლევს: დესპინე, ეგრე უნდა განა სიტყვის შენახვაო? გამწარებული დესპინე ემორჩილება, მაგრამ სასჯელის სიმძიმეს (უნდა მამის საფლავთან რკინის პალოზედ მიეჯაჭვათ და ისე წვალებით ამოერთვათ სული) უსუბუქებს და დამბაჩით გულს გაუგმირავს. ტარიელ კვდება და თან დესპინეს ჰმადლობს, რომ ნატვრა შეუსრულა, სიკვდილი მოუსწრაფა. ამითი თავდება „ორის გმირის“ თავგადასავალი.

როგორცა ჰხედავთ, დრამა სცენის მხრივ ეფექტებს მოკლებული არ არის, მაგრამ ღრმა დაკვირვება და ხელოვნურად შემუშავება დიდადა ჰკოჭლობს. ავტორი გმირების სულიერს მოძრაობას საკმაოდ არ დაჰკვირვებია, ადამიანის სულიერი თვისებანი კარგად ვერ აუწონ-დაუწონია და გმირების მოქმედება ერთობ აჩქარებულად დაუსკვნია. კოპპეს ნაწარმოებს, რომლიდგანაც ბ-ნს გუნიას შინაარსი აუღია, არ ვიცნობთ, სამწუხაროდ, მაგრამ ეს მაინც ხელს ვერ შეგვიშლის, ვგონებთ, თუ რომ პიესის სუსტს მხარეს მიუდგომლად შევეხებით სხვას არ დავასახელებთ და ავიღებთ თუნდაც დრამის დასასრულს: კარგად გვესმის, რომ ტარიელს არა ჰსურს თავი იმართლოს მად, რომ, ჯერ ერთი, უნდა მამის პატიოსანი სახელი არ შეჰბღალოს და, მეორეც, მამის მოკვლისათვის, თუმცა ამას საქვეყნო მოვალეობა და სამშობლოს სიყვარული სრულიად შეუნდობენ, ღირსეული სასჯელი მოიხადოს, რომ სინიდისის ქენჯნას მკვლელობის წინაშე მორჩეს, მაგრამ რატომ არ ამართლებს მას დესპინე, რომელმაც ყოველივე საიდუმლო კარგად იცის და ადვილად შეუძლიან დუდუხანის ბოროტი განზრახვა ამხილოს, ეს-კი გაუგებარი და აუხსნელია. „დესპინე სიტყვას შენახვა უნდაო“, ეს ერთობ სუსტი საბუთია, რომ ქვეყნის ერთგული მამულიშვილი, რომლის სიცოცხლეც ძვირადა ჰღირს ამ დიდს გაჭირვებაში, როგორსაც პიესის შინაარსი გვისახავს, ესე ადვილად გაიმეტოს მოსიყვარულე, ერთგულმა არსებამა და ისიც ქალმა... ეს უმთავრესია, მაგრამ არა ნაკლები შეცდომა სხვა შეჰპარვია ავტორს. როდესაც დუდუხანი თავისის მდაბალსა და საზიზღარს გეგმას ტარიელს უმხელს და სცდილობს მასაც იგივე სამარცხვინო საქმე ჩაადენინოს, რაც მისს მამას გარდააწყვეტინა და რის გამოც ტარიელმა მშობელი მამა მოჰკლა, ტარიელი თავს იმაგრებს და თავსა და თავს მიზეზს ყოველგვარ უბედურებისას დაუსჯელადა სტოვებს, შურს არ ეძიებს, თუმცა, ეჭვს გარეშეა, არც ერი და არც მეფე ამას დანაშაულად არ ჩაუთვლიდნენ. მაგრამ მამის პატიოსანი სახელი? დიახ, ჩვენც სწორედ ეს გვინდა ვთქვათ, რომ შეიძლებოდა პიესა სხვა რიგად დაებოლოვებინა და ფსიხოლოგიურად რაც აუცილებელია, ის-კი არ დაევიწყნა, სიმართლისათვის არ ეღალატნა. აქ მხოლოდ აჩქარებაა დამნაშავე.

მეორე მხრივ ხელოვნურადაც მეტად სუსტად არის შემუშავებული: კვარჩხალის სადარაჯოზედ დაუსრულებელი მონოლოგი „მამა ჩემო“-ს

---

დის ახალ დროის საზოგადოებრივ ცხოვრებას... ეს ფინანსისა და ინდუსტრიის ფეოდალიზმი აგებულია სხვათა გაკოტრებაზედ, საშუალო კლასთა და წვრილ კაპიტალთა განადგურებაზედ... იმის განვითარების ისტორიას აგვირგვინებს ახალი ბატონ-ყმობა მუშათა კლასისა კაპიტალის წინაშე... ყოველდღე ვხედავთ, ახალნი აღმოჩენანი და გამოგონებანი როგორ საკვირველ და საოცარ ცვლილებას ახდენენ წარმოებაში. გაამეფა რა აუარებელ მუშათა ნაცვლად მანქანა, გასდევნა რა ეს მუშანი ქუჩაში, ახალი ფეოდალიზმი დიდხანს არ დააყოვნებს და მალე წვრილ მესაკუთრეთა განადგურებასა და აღგვასაც შეუდგება...

„მრეწველობის რა დარგშიაც უნდა გაჩნდეს მსხვილი კაპიტალი, იგი ყველგან მიწასთან ასწორებს წვრილს კაპიტალს. მარტო იმის მიახლოვებისათანავე ჰქრებიან თავისუფალნი ხელოსანნი და წვრილნი მწარმოებელნი და თავიანთ ადგილს მსხვილ ქარხნებსა და პროლეტარიატს უთმობენ... ასევე ხდება წვრილ და საშუალო მიწად-მფლობელობაშიაც: ვალებით დაქვეითებულნი, მამულზედ დიდის სესხის აღებით გაკოტრებულნი წვრილნი და მსხვილნი მემამულენი კაპიტალის ალს მიეცემიან...

„ეს მოვლენა ჩვენის დროის შვილია. იგი ფეხდაფეხ მისდევს აწინდელ ინდუსტრიალიზმსა და მანქანათა შემოსევას. ჩვენი მრეწველობა ხალხის სიმდიდრეს ყველგანა ჩხრეკავს, თავს უყრის ამ სიმდიდრეს ახალ ფეოდალთა ხელში და ჰქმნის სიღარიბისა და პროლეტარიის ლეგიონებს.

„ინგლისი საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს კაპიტალთა თავ-მოყრის განვითარებისას არისტოკრატთა მცირე გუნდის ხელში და საშუალო კლასთა გაკოტრებისას... საფრანგეთი და ბელგია, რომელნიც ამ ინდუსტრიალიზმში ფეხდაფეხ მისდევენ ინგლისს, არც ახალის ფეოდალიზმის შექმნაში აპირებენ ჩამორჩენას“.

ყველა ეს ადგილები ამოვიღე შესანიშნავ ფურიერისტის მანიფესტის ხუთ პატარა გვერდიდგან (6—11). ესევე აზრები განმარტა E. Buret-მა ვრცელს თხზულებაში, რომელიც მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა და რომელიც სავსეა მეტად სერიოზულ და სტატისტიკურ ცნობებით. E. Buret-ის *) შრომით სარგებლობდა იმ დროს ყველა პუბლიცისტი და მწერალი. „Buret“-ის მიერ შეკრებილი ცნობები დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა მაშინდელ მოწინავე რეფორმატორთათვის.

ესევე აზრები, მხოლოდ წყაროს აღუნიშნავად, განიმეორეს 1848 წელს მარქსმა და ენგელსმა, ხოლო 30 წლის შემდეგ, როდესაც წამოიზარდა ახალი თაობა და დაივიწყეს მეორმოცე წლების მდიდარი ლიტერატურა, დაიწყო ლეგენდის გამოგონება კანონების შესახებ, კანონებისა, რომელნიც ვითომ აღმოეჩინოთ ნემეცებს, განსაკუთრებით მარქსსა და ენგელსს. პირველმა ხმა ამოიღო ამ აღმოჩენათა შესახებ თვით ენგელსმა 1879 წელს პოლემიკაში, რომელიც პროფესორ დიუჰრინგთანა ჰქონდა. ენგელსის შემდეგ ამავე ზღაპარს ხშირად იმეორებდნენ დიდათ პატიოსანნი, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში ბევრის არ მცოდნე კაცები. ერთმა ამ მიმდევართაგანმა, მუშათა ნიჭიერმა ორატორმა ბებელმა, ხალხის ბედნიერებისათვის თავ-განწირულმა, მაგრამ ამ საუკუნის პირველ ნახევრის საფრანგეთისა და ინგლისის ლიტერატურის შესახებ სრულიად არაფრის მცოდნემ, სავსებით დაუჯერა ენგელსსა და თავისს პოპულიარულ „დედაკაცის შესახებს“ კომპლიაციაში შეაქო გერმანია და თვით აღმომჩენი შემდეგის აღტაცებულის სიტყვებით:

„გერმანიამ იკისრა ხელმძღვანელობა მომავალის დიდ ბრძოლაში. იგი მოწოდებულია ამ საქმისათვის როგორც განვითარებით, აგრეთვე თვით გეოგრაფიულ მდებარეობით... უბრალო შემთხვევის **) საქმე არ არის ისა, რომ სოციალურ დინამიკის კანონები ნემცებმა აღმოაჩინეს და ამით საზოგადოებათა ცხოვრებას მეცნიერული საფუძველი დაუდვეს. ამ ნემეცთა შორის პირველი ადგილი მარქსსა და ენგელს ეკუთვნით; მათ მისდევს ლასსალი“...

და მთლად ეს ქება-დიდება პატიოსან, მაგრამ ლიტერატურულად მცირედ განვითარებულ პრაქტიკულ მოღვაწისა განსაკუთრებით კაპიტალთა კონცენტრაციის კანონს შეეხება. ეს კანონი ქვა-კუთხედია მარქსისტთა მოძღვრებისა. ამ კანონზეა დამყარებული მათი სწავლა, რომ ყოვლად აუცილებელია ეკონომიურად დალარიბება ხალხისა და სასურველიცაა გლეხთა გაღარიბება გაკოტრება ყოველ ეროვნების, „чумазый“-თა სასარგებლოდ და საკეთილდღეოდაო. კარგი და პატიოსანი. მაშ ვნახოთ, რითი განსხვავდება ნემეცთა კანონი იმაზედ ოცდა-ათის წლით უფრო ადრე აღნიშნულ კონცენტრაციისაგან.

ვ. მარველი

(შემდეგი იქნება)

*) „De la Misere“ და სხვ. პარიჟი 1840 წ. მუშა კლასთა ცხოვრების ეკონომიურ პირობათა შესახებ ინგლისსა და საფრანგეთში.—მეტად სუსტი კომპილიაცია ამ კაცის თხზულებიდგან შეადგინა მაშინ ჯერ ისევ ახალგაზდა ენგელსმა.

**) უთუოდ უზენაესის მიერ ასე იქმნებოდა გარდაწყვეტილი!

უთავბოლო მიძახილით, მწყემსისა და დარაჯის უაზროდ გამოყვანა და ლაპარაკი ლევანის დარბაზის წინ, ალბად იმიტომ, რომ ავტორს უნდოდა დარაჯის დესპინეს მიმართ გრძნობა სიყვარულისა და ტარიელის სიძულვილი დაენახვებინა, დაუჯერებელი მათ მიერ მომავალ ბატონის დანახვა, როდესაც თითონ გალავანს შიგნით არიან და ვერაფერს ჰხედავენ, უხეირო თავისუფალი ლექსი და ბევრგან წაბილწული ქართული ენა, ყოველივე ეს მხოლოდ საყვედურის ღირსად ჰხდის ავტორს, მაშინ როდესაც მართლაც შეიძლებოდა კარგი და რიგიანი პიესა გამოსულიყო, თუ რომ საქმეს ადვილად და სუბუქად არ მოეკიდებოდა. პირ-იქით, ვიტყვით, რომ პიესა სცენისათვის სამაგალითო იქნებოდა, რომ ყოველივე ჩვენ მიერ დასახელებული ნაკლი შესწორდებოდეს.

ახლა ორიოდე სიტყვა მოთამაშეთა და სცენის მოწყობილობის შესახებაც. მოთამაშენი, დაწყებული გმირებიდგან არა გმირებამდე, ყველანი სუსტნი იყვნენ, როლები არ იცოდნენ, შინაარსს სრულიად არ დაჰკვირვებოდნენ. გამყრელიძის უაზროდ მოლლა-ეფენდისავით მხოლოდ წვერებზედ ხელის სმა, კარგარეთელის სახის გამოუმეტყველობა იმისთანა მომენტებშიაც-კი როდესაც ის ლევანსა და ტარიელს ელაპარაკება, მწყემსის სასწაულთ-მომქმედი სალამური, რომელიც თავის-თავადაც-კი უკრავს, დიდებულები, რომლებიც უფრო ვილაც მასხარეებს წააგავდნენ და სხ. უნებლიედ გულსა გვწყვეტს.

კომედიაც ასევე უგემურად და უხეიროდ ჩაატარეს.

დამოუკიდებელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მოსკოვში ნევროპატალოგთა და ფსიხიატრთა საზოგადოებაში მკურნალს ტოკარსკის მოხსენება უნდა წაეკითხნა ამ სათაურით „გაწითლების შიში“, ეს ერთგვარი სენია (თუ შეიძლება ასე უწოდოთ), რომლითაც უმთავრესად ახალგაზრდობაა ხოლმე შეპყრობილი. ზოგიერთი კაცი, თუ ვინმესთან ლაპარაკი მოუხდა, წინდაწინვე ჰგრძნობს, რომ გავწითლდებიო. ბოლოს ეს გრძნობა იმდენად იმაგრებს ფეხს, რომ ალარასოდეს აღარა ჰშორდება კაცს: იგი მუდამა სცდილობს ამ გაწითლებას, მუდამ თვალ-ყურს ადევნებს თავს და სხვა. მკურნალი ტოკარსკი როდესაც რეფერატსა სწერდა, დაარწმუნეს, რომ თვით შენ უეჭველად გაწითლდები ამ რეფერატის წაკითხვის დროსაო. მკურნალმა პირველად ყურადღება არ მიაქცია იმას, მაგრამ შემდეგ, რაც მეტსა სწერდა, მით მეტსა ჰფიქრობდა გაწითლებაზედ და თანდათან შიშიც ეპარებოდა, მართლა არ გავწითლდე რეფერატის კითხვის დროსაო. ბოლოს ეს ფიქრი სრულიად ველარ მოიშორა თავიდგან. გათავდა საქმე იმით, რომ კრების დაწყებისას წევრებს გამოუცხადა, ვერ წავიკითხავ საჯაროდ რეფერატსაო.

* * *

ხინბენბიურგენში ქალაქ მედიაშის თვითმმართველობამ ამას წინად ქალაქისათვის დიდის საავადმყოფოს აგება ახალგაზდა ქალს ხუროთ-მოძღვარს—ერიკა პაულას მიანდო. ერიკა პაულასი შვეიცარელია, ინჟენერის ქალი, დაიბადა 1875 წელს ციურიხს; 1883 წლიდგან-კი დედ-მამასთან ერთად ბისტრიცში სცხოვრობს. იქ სამოქალაქო სკოლაში სწავლობდა. პატარაობითვე პაულას საშინლად უყვარდა ხაზვა და სხვა. 1892 წელს ქალაქის საინჟენერო უწყებაში მიიღო მცირე ადგილი მხაზავისა. ახალგაზდა ქალი გულმოდგინედ შეუდგა გეგმის შედგენას და თვისდა თავად ეს საქმე ისე კარგად შეისწავლა, რომ ერთს დღეს მთავრობას წარუდგინა მშვენიერი გეგმა ქალაქის ყაზარმებისა. სამი წელიწადი კიდევ იმეცადინა და 1895 წელს სამაგალითოდ დაიჭირა ეგზამენი ხუროთ მოძღვრებაში. პირველ ხანს, რასაკვირველია, ეჭვის თვალით შეჰხედეს ქალს —ხუროთ-მოძღვარს, რა ეცოდინებაო, გაიძახოდა ყველა; მაგრამ, როდესაც პაულასმა, ნაცნობებსა და ნათესავების მეცადინეობით, რომელთაც საჭირო თანხა უშოვნეს, რამდენიმე მშვენიერი სახლი ააგო, ეს ეჭვი გაიფანტა და დღეს ახალგაზრდა ქალს აუარებელი საქმე აქვს მინდობილი.

## დეპეშა

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის,ეგერმეისტერმა თავ. დ. მელიქიშვილმა მისს უმაღლესობას, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მიულოცა სახელ-წოდების დღე 8 ნოემბერს და პასუხად შემდეგი დეპეშა მიიღო:

„გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს. დიდად ვმადლობ თავად-აზნაურობას გულ-მხურვალე სალამისათვის და შენც გმადლობ. მიხარის და გილოცავ ახალს თანამდებობაზედ დანიშვნას.

მიხეილი“.

გუბერნიის წინამძღოლისაგან გაგზავნილი დეპეშა შემდეგის შინაარსისა იყო:

„პეტერბურგს. მისს იმპერატორებითს უმაღლესობას, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს.

„ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა, თქვენის დიდებულ გვამის მიმართ განუსაზღვრელ მადლობის გრძნობით აღსავსე, ყოვლად უერთგულესად გილოცავთ და აღავლენს ლოცვასა უზენაესის მიმართ ვედრებითა, რათა ხანგრძლივ ჰყოს სიცოცხლე მრავალ-მოწყალისა ავგუსტოესის მფარველისა და მცველისა. უმოწიწესად ვუერთებ ჩემს ყოვლად-უერთგულესს მოლოცვასაც და განუსაზღვრელ ბედნიერადა ვთვლი ჩემს თავს, რომელ პირველ დღესა ახალ თანამდებობის აღსრულებისასა წილად მხვდა გარდმოვცე თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას თავად-აზნაურობის გრძნობანი“.

—

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დეპეშებია მიღებული, რომ ხელმწიფე იმპერატორის განკურნებისათვის პარაკლისები გარდაუხდიათ ლობისა, პენზასა, ვარშავასა და ნიჟნი ნოვგოროდში.

**მანჯაი.** ის გარემოება, რომ ტუნფუსიანი ჩინეთის სასჯელთა შესახებ ბრძანებაში არ არის მოხსენებული, არწმუნებს ყველას, რომ იგი სასახლეში იმყოფება სიანფუში. დიდად სარწმუნო წარჩინებული კაცი ამბობს, რომ სასახლე დიდს გაჭირვებაშია და პეკინში სურს დაბრუნდეს, მაგრამ ტუნფუსიანი წინააღდეგიაო. შემდეგ იუწყებიან, რომ სიანფუდგან საიდუმლო ბრძანება მოუვიდათ ვიცე-კოროლებსა და გუბერნატორებს, ჩქარა მოემზადეთ ომის განსაგრძობადაო; ამბობენ, რომ ამისი მიზეზი ტუნფუსიანიაო.

**ნიუ-იორკი.** ბიჟლოვის იმ აზრს, რომ ვითომ სახელმწიფონი ერთის აზრის არიან იმ პირობების შესახებ, რომელნიც უნდა წარუდგინონ ჩინეთსო, სრულიად უარ ჰყოფენ ვაშინგტონიდგან. შეერთებულ შტატების მთავრობა წინააღმდეგია იმისი, რომ ჩინეთის პირველ კაცთ თავი მოსჭრან და აგრეთვე იმისი, რომ ჩჟილის პროვინციაში სიმაგრეები დანგრეულ იქმნას. კონჯერს გაეგზავნა დარიგება, რომ ამ პირობათ წინააღუდგეს. რამდენისამე დღის წინად დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ კონჯერს ნება მიეცემა თავის საკუთარის აზრისამებრ იმოქმედოსო. რაც შეეხება ექსპედიციას, რომელიც ჩინეთის საქმის ხარჯს თან-და თან უფრო აძლიერებს, გარეშე საქმეთა სამინისტროს მოღვაწენი არ ამხელენ, რომ სწამდეთ, ვითომ საქმეები ამ ექსპედიციაში პატიოსნად სწარმოებდეს. იმათ არ სჯერათ, რომ სხვა რამ საგანი იყოს, გარდა იმისა, რომ მეტად გაადიდა ჯილდო, რომელიც ჩინეთს უნდა გარდაახდევინონ.

**ლონდონი.** ოფიციალურად. რობერტსი კვირას ცხენიდგან გადმოვარდა და თუმცა სუსტადა ჰგრძნობს თავს, მაგრამ არაფერი დაშავებია და ისევე განაგრძობს თავისის თანამდებობის აღსრულებას.

**იოკოჰამა.** გზათა მინისტრს, წარმომადგენელთა პალატის პრეზიდენტად ნამყოფს, კოსკს ის ბრალი ედება, რომ დიდი ფული აუღია ქრთამად. იგი უეჭველია დაპატიმრებულ იქნება. სამხედრო მინისტრი სამსახურიდგან უკვე გადაყენებულია ზოგიერთ იმ გარემოებათა გამო, რომელთაც საერთო ყურადღება მიიპყრეს, სარწმუნოდ სთვლიან, რომ ეს ამბავი მთელის სამინისტროს გადადგომას გამოიწვევსო.

**მარსელი.** „Gelderland“-ი ნავთსადგურში მივიდა. კრიუგერმა გემზედ მიიღო თავისი მინისტრი და იმათთან თათბირი ჰქონდა. ნაპირზედ მხოლოდ თათბირის შემდეგ გადმოვა.

**ბლუმფონტეინი.** ბურები დამარცხდნენ 15 ნოემბერს ბაბესპანთან. კომენდანტი ბრანი დაჭრილია. ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა გაქცეულ ბურებზედ, რომელნიც ზარბაზნებით იქმნენ მთის მაღლობებიდგან განდევნილნი და დიდად იყვნენ დაზარალებულნი. კრ დოკთან ახალი სიმაგრე იქმნება აგებული ბლუმფონტენის დასაცველად.

10 ნოემბერი

**ლივადია.** 10 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე მშვიდობიანად გაატარა; ერთ საათამდე ეძინა. საღამოს 9 საათზედ სიცხე ჰქონდა 39,3, მაჯის ცემა - 82. ღამე მისს უდიდებულესობას ძალიან კარგად ეძინა. დილით თვით-მგრძნობელობა და ძალ-ღონე კმაყოფილი ჰქონდა; 9 საათზედ სიცხე ჰქონდა 38,5, მაჯის ცემა—75. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პაპოვი; ექიმი ტიხონოვი.

**მარსელი.** კრიუგერი გადმოვიდა გემიდგან დილის 11 საათზედ და აღტაცებულის მანიფესტაციებით მიეგება დიდ-ძალი ხალხი. რომელიც ზღვის პირად იყო თავ-მოყრილი და ერთთავად ეგებებოდა სალამით კრიუგერსა და ბურებს.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეისა და ჰეის აზრს ეწინააღმდეგება აზრი კონჯერისა, რომელიც გუშინ ეცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შესაფერისად არ მიაჩნია სასჯელნი, საიმპერატორო ბრძანებაში აღნიშნულნი ჩინეთში მომხდარ ძალ-მომრეობისათვისაო.

გერმანიამ წინადადება შემოიტანა: ჩინელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებას საფუძვლად ის უნდა დაედოს, რომ იმათ დაესაჯოთ, სიკვდილით დასაჯონ 11 პრინცი და წარჩინებული კაცი, რომელნიც პასუხის მგებელნი არიან ევროპიელების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთაო. მთავრობა ამ წინადადებას სრულიად არ თანაუგრძნობს.

როგორც პეკინიდგან 6 ნოემბრის თარიღით მოსული დეპეშა იუწყება, ამ დღეს ელჩებს თათბირი ჰქონიათ და უცბად თავი უჩენია შეუთანხმებლობას, რის გამოც მოლაპარაკება დროებით შეუწყვეტიათ. ხმა დადის, რომ ელჩებმა ეს ამბავი თავ-თავისს მთავრობას აცნობეს და დროებით გადასდეს სხდომახოო ამბობენ, შეუთანხმებლობა ისეთმა გარემოებამ გამოიწვია, რომ იქნება მის აცილების ხანგრძლივი დრო დასჭირდესო. როგორც ამბობენ, გამოამჟღავნდა თურმე, რომ ლიხუნჩანგი არა ოფიციალურის გზით მოელაპარაკა ზოგიერთს ელჩებს, რათა გამოეკითხა, არ შეიძლება დიდნი სახელმწიფონი დაეთანხმოთ, რომ შეამცირონ სასჯელი, რომელიც ჩინეთის წარჩინებულთა აქვთ გარდაწყვეტილი, ისე რომ ისინი სამსახურიდგან იქმნენ დათხოვნილნი და განძევებულნიო. ამბობენ, რომ ლიხუნჩანგის სურვილს მხარი არავინ დაუჭირაო.

ჩინეთის წყაროდგან მოსული ამბავი იცნობება, რომ ჩრდილოეთის გერმანია-იტალიის რაზმი გზად სოფლებს ცეცხლს უკიდებდაო.

**მარსელი.** პრეზიდენტმა კრიუგერმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა მისდა მისაგებებლად ამორჩეულ კომიტეტის თავმჯდომარის სალამის პასუხად. კრიუგერს სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ მოწონების ძახილით და დასასრულ აღტაცებით შეეგებნენ მის მიერ თქმულს. როდესაც კრიუგერის ეტლი, მისდა მირთმეულ ყვავილებით დაიძრა, გაისმა დაუწყნარებელი ძახილი: „გაუმარჯოს კრიუგერსაო!? მუსიკა ტრანსვაალის საერო საგალობელს უკრავდა. მთელს გზაზედ სახლამდე, სადაც კრიუგერი ჩამოხდა, ეს ძახილივე გაისმოდა და კვლავ განიმეორეს, როდესაც პრეზიდენტი ფანჯარასთან გამოჩნდა. კრიუგერმა აივნიდგან მცირე სიტყვით მადლობა გადაუხადა ხალხს თანაგრძნობით დახვედრისათვის და შემდეგ შევიდა, რათა თათბირი ჰქონოდა და იქ მყოფ ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან. სადილს შემდეგ კრიუგერი სტუმრებს მიიღებს. როდესაც კრიუგერმა და მისმა მხლებლებმა გაიარეს ქალაქზედ, რამდენსამე ინგლისელს. რომელნიც აივანზედ გამოსულიყვნენ, ქუდს არ იხდიდნენ თუმცა ხალხმა მოითხოვა ესა, და ძირს შავს ფულსაც-კი ჰყრიდნენ, იმდენი უსტვინეს და დასცინეს, რომ ისინი იძულებულ იქმნენ აივანს მოშორებოდნენ.—კრიუგერმა 2 საათზედ მიიღო მარსელის მერი. რომელმაც განუცხადა რომ ქალაქის მცხოვრებნი თანაგრძნობენ ბურებს და იმათს მწუხარებასაო, და უსურვა, რომ ტრანსვაალის საქმე სამართლიანად იქმნას გარდაწყვეტილიო. კრიუგერმა მადლობა განუცხადა და სთქვა,რომ იმედი მაქვს ღმერთისა და თვით საქმის სამართლისაო. შემდეგ მერმა კრიუგერს გარდასცა დიდ ძალი მისასალმებელი ადრესები. მერმა ბრძანება გასცა, რომ სასტიკად იქმნენ დასჯილნი, ისინი, რომელთაც შეადგინეს კრიუგერის გავლის დროს თავისის საქციელითა რეულობა გამოიწვიეს. „Geldelrand“-ი საღამოზედ წავიდა აქედგან.—საღამოზედ ათიათასი საკრებულოსთან და სარედაქციო შენობებთან ხალხმა მოიყარა თავი და უვირილით თანაგრძნობას უცხადებდა ჯარსა, საფრანგეთსა და კრიუგერს. ინგლისის საელჩოსთან დასაცინებელ ლექსებსა ჰმღეროდნენ და საკიცხავ სიტყვებს ამბობდნენ. პოლიციამ გაჰფანტა ამ ადგილიდგან ხალხი.

**ბუქარესტი.** მეფის კარლის წინააღმდეგ შემდგარ მეთქმულებისათვის გარდაეწყვიტათ: ბოგდანოვს—10 წლ. საპატიმრო, ალეხსოვს, პეტევსა და დიმიტროვს—საერთოდ 10,000 ფრანკის გარდახდა, სარაფოვის თანა მონაწილეთ: დავიდოვსა, კოვაჩევსა, პეტროვსა და სტაიხოვს—საუკუნო კატორგა; ბუსნიაკოვსა, ტეოდოროვსა, პოპარსოვსა, ზამფიროვსა, ტზვეშკოვსა, ტროლეს, ბურლაკოვსა და იკონომოვს—20 წლით კატორგა. ამათ გარდა. საერთოდ 10,000 ფრანკის გარდახდა მიესაჯათ სამოქალაქო დავის დასაკმაყოფილებლად სარაფოვის თანა მონაწილეთ მიხაელიანოს მოკვლის საქმეში.

## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 11 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა**

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ალასკაროვის სახლის ალაყაფის კარებიდგან მდინარე მტკვრამდე სეიდაბათის დახმართზედ, სიგრძით 65 საჟ. დაახლოვებით სამუშაო 1550 მანეთისა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

**მირიან, ალექსი, იაკინთე, თეოფილე, სოლომონ, იაგორ, მართა და კესარია ბოლქვაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასის დედისას

### ელისაბედ როსტომ ტუსკიას ასულის ბოლქვაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს, 11 ნოემბერს, დილის ათ საათზე, სოფელ მიქელ-გაბრიელში მიცვალებულის გვამის მიქელ-გაბრიელის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში განსასვენებლად.

(1—230—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე